საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია
დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო.

45

სოციალისტ-ფედერალისტი

მაისი კვირა 1
1921 წ.
ფასი 100 მანეთი

ედაქციის მისამართი:
ამფუძნებელი კრების ქ. № 6
ელეფონი 12—29

წითელი მაისობა

მაისობა საერთაშორისო პროლეტარული მასების წითელი დღესასწაულია; დღეს მშრომელი ელემენტები მთელი მსოფლიოსი ერთი მეორეს ძმურს ხელს აწვდიან და მძაფრი ყიჟინით ემზადებიან შეერთებულ ბრძოლისათვის მოსისხლე მტრის გასანადგურებლად; პირველი მაისი ამხედრებული სულისა და ბების, აჯანყებული გრძნობისა და ნსყოფის გამომზეურებაა. მწყობრი რაზმები საერთაშორისო პროლეტარიატისა ამ დღეს შეუდრეკელის ალტყინებით ემზადებიან კაპიტალიზმის ბატონობის მოსასპობად და ახალი სოციალური ურთიერთობის განსამტკიცებლად.

პირველ მაისს ორი კულტურა, ორი სოციალური მორალი და მიზნები უპირისპირდება ერთმანეთს: პროლეტარულ-კომუნისტური და ბურჟუაზიულ-იმპერიალისტური და ეს დაპირისპირება ებით შინაარსსა და ტონს აძლევს პირველ მაისის დღესასწაულს.

ამ დღეს ხდება საერთაშორისო პროლეტარიატის ძალთა გადაშინჯვა. გენერალური რევიზია და მზადება მოწინააღმდეგეთა სიმაგრეების გასანადგურებლად. ეს დღე საომარი ვარჯიშია ინტერნაციონალური წითელი პოლკებისა მთელ საერთაშორისო მყვლეფელ იმპერიალიზმის სრა-სასახლეების დასაპყრობად.

წითელი მაისობა—ეს გმირული ძახილია საერთაშორისო სოციალური რევოლიუციისათვის.

პირველი მაისობა—წითელი აჩრდილი ინტერნაციონალური მოხასხასე კომუნიზმისა.

ასეთია თანამედროვე პირველი მაისის ბრწყინვალე სახე.

მაგრამ ამ დღესასწაულს თავისი ისტორია აქვს და მას თავის შტაბი ყავდა, რომელიც პირველ მაისობაში თავისებურ შინაარსსა და ლოზუნგებს დებდა. ვინ იყო ეს შტაბი? მეორე ინტერნაციონალი, დღეს უკვე სავსებით გაყვითლებული და მოწინააღმდეგე მხარეზე გადასული.

მეორე ინტერნაციონალის ყვითელი რაინდებიც დღესასწაულობდნენ მაისის დღეს, ისინიც მოუწოდებდნენ ამ დღეს საერთაშორისო პროლეტარიატს ძმური სოლიდარობისაკენ. მაგრამ მათი მოწოდება მოკლებული იყო ძახილს: „დღესვე ბრძოლისაკენ, დღესვე მზადება კაპიტალიზმის საფუძვლების გასანადგურებლად.“

მათი მოწოდების შინაარსი დროული ლოზუნგებითა და მიზნებით ამოიწურებოდა და დღესაც ასე ხასიათდება: ნაწილობრივი გაუმჯობესობა მუშათა ეკონომიური მდგომარეობისა კაპიტალისტურ მეურნეობის ჩარჩოებში. ამ მოწოდებისა და ლოზუნგის არსებითათ [illegible] კაპიტალისტური კულტურის და[illegible] გამოიხატება, და თუ მეორე ინტერნაციონალის მიმდევრებს რაიმე წინააღმდეგობა დასცდებოდათ ამ კულტურის წინააღმდეგ ეს მხოლოდ საპროპაგანდო ლოზუნგი იყო შორეულ ისათვის, და არა ბრძოლის ძახილი დღესვე სამხედრო მოქმედების საწარმოებლად. ამით მაისობამ დაჰკარგა თავისი არსებითი მნიშვნელობა და სახე; ყვითელი იყო და დღესაც ყვითელი.

ამ დღეს ორი საომარი დროშაც დაუპირისპირდება ერთი მეორეს საერთაშორისო ბრძოლის მოედანზე: დროშა წითელი, კომუნისტური ინტერნაციონალისა და დროშა ყვითელი, ოპორტუნისტული ინტერნაციონალისა.

ეს იქნება გამომხატველი იმ სულიერი განწყობილებისა და მიდრეკილებისა, რომელიც გამტკიცებულია საერთაშორისო პროლეტარულს წრეებში; ერთის მხრით არისტოკრატიული თემათა წრეები, იმპერიალისტების მოყიდულები და მათი მონა-მორჩილები, და მეორეს მხრით გაყვლეფილ, გაღატაკებულ მებრძოლ პროლეტარიატის წითელი რაზმები ერთი მეორეს დაუპირის-პირდება ორი საწინააღმდეგო დროშით, ლოზუნგებით და მიზნებით.

მაგრამ თანამედროვე ეკონომიური ცხოვრების ვითარებამ და იმ ობიექტურმა გარემოებამ, რომელიც შეიქმნა მსოფლიოში ომისა და რევოლიუციის ზეგავლენით, არსებითად შეარყია კაპიტალისტური წყობილების საფუძვლები და კაცობრიობა საერთაშორისო სოციალური რევოლიუციის პროცესში ჩაბა. იმპერიალიზმმა კაპიტალისტური კულტურა ისეთს მაღალი კედლებით შემოზღუდულ „ტუპიკში“ შეიყვანა, საიდანაც მას სამშვიდობო გამოსასვლელი გზები არ აქვს: ან უნდა დარჩეს კაცობრიობა მუდმივ ანარქიისა და არევდარევის წიაღში, ან უნდა დაირღვეს შემაფერხებელი კედლები და მსოფლიო ახალს სოციალურსა და პოლიტიკურს საფუძვლებზე მოეწყოს. დღეს მსოფლიო საერთაშორისო ანარქიასა და არევ-დარევას განიცდის. ვერსალის გმირებმა ვერ შესძლეს დღევანდელს ობიექტურს გარემოებაში საზავო პირობების გამტკიცება და დღესაც მსოფლიო საერთაშორისო ომის გზა-ჯვარედინზე სდგას. მეორეს მხრით მსოფლიო იმპერიალისტურს წრიდან ამოიშალა დიდ-ტანიანი პოლიტიკური სხეული და მან სულ სხვა გვარი სახე მიიღო და მიზნები დაისახა (საბჭოთა რუსეთი). ამ ძალასთან ერთად ირაზმებიან საერთაშორისო პროლეტარიატის, აღმოსავლეთისა და დასავლეთის წითელი პოლკები იმპერიალიზმისათვის გადამწყვეტ ბრძოლის მისაცემად. და აი ამ დიადს გადამწყვეტ მომენტში, როდესაც ხელჩართული ბრძოლა სწარმოებს ყოველს ფრონტზედ ორ ისტორიულ მტერთა შორის, მეორე ინტერნაციონალის გმირები ვერსალის შტაბთან ერთად წითელი კომუნიზმის დასახრჩობ გეგმებს ადგენენ. ეს არის იდეიური გაკოტრება მეორე ინტერნაციონალის რაინდებისა და მათი პრაქტიკული დამარცხება.

მაგრამ მეორე ინტერნაციონალის დამარცხება ახალი ამბავი არ არის; მათი ორგანო საერთაშორისო ომის დაწყების დღიდანვე მოიშალა და დაინგრა, წევრები და მეთაურები კი ერთი მეორეს შეხვდნენ ელზას-ლორენისა და ვერდენის უღელტეხილებში და ლიეჟის მიდამოებში არა როგორც ამხანაგები და მეგობრები, არამედ როგორც მოწინააღმდეგენი და მტრები თოფებით ხელში. ეს იყო არსებითად სიკვდილი მეორე ინტერნაციონალისა და დღეს ამ გახრწნილების გარშემო იკრიბებიან ოპორტუნისტული სოციალიზმის პიონერები. მაგრამ მათი მოქმედება უსახოა, მათი სურვილები უპრინციპო და დამღუპველი.

საერთაშორისო მუშათა კლასმა არსებითად ზურგი უბრუნა მეორე ინტერნაციონალის გამყიდველ პოლიტიკას და ორი წლის წინედ შექმნა წითელი კომუნისტური ინტერნაციონალი, რომელიც თავის რიგებში იერთებს მთელი მსოფლიოს, აღმოსავლეთისა და დასავლეთის გაყვლეფილსა და გაღატაკებულს მშრომელ მასებს. მესამე ინტერნაციონალი სამხედრო შტაბია მთელი ქვეყნის კომუნისტური პარტიებისა და რევოლიუციის წითელი გენერლები აქ სწყვეტენ საერთაშორისო მოძრაობისა და მტრის წინააღსდეგ შეტევის რთულს საკითხებს.

კომუნისტები ინტერნაციონალის საღმა და გაბედულმა პოლიტიკამ საერთაშორისო ბრძოლის პროცესში ჩააბა [illegible] აღმოსავლეთის მშრომელი ელემენტები, მრავალ საუკუნეთა განმავლობაში უმოძრაოდ რომ სთვლემდენ. შორეული კოლონიალური ერები დიდი ხნის განმავლობაში დასავლეთ იმპერიალიზმის საექსპლოატაციო ობიექტს წარმოადგენენ და დღესაც ამ მდგომარეობაში იმყოფებიან. იმპერიალიზმს უხეშმა დამოუკიდებლობამ ამ ერებისადმი დ რუსეთის კომუნისტების გაბედულმა რევოლიუციონურმა პროპაგანდამ [illegible] აჯანყების სული შეიტანა მათში და კოლონიის ყვითელი და შავ-კანიან პროლეტარული მასები ევროპის მუშათა კლასთან იბრძვიან ერთი საერთო მიზნისათვის. ეს ახალი და ღირსშესანიშნავი მომენტებია საერთაშორისო მუშა მოძრაობის ისტორიაში და დღეს ევროპის წითელს დღესასწაულსა და დროშას ახლად-გამოღვიძებულ აღმოსავლეთის ასეთივე ფერის დროშები შეუერთდება.

საქართველოს მშრომელი მასების, რომელნიც დასავლეთისა და აღმოსავლეთის ერთგვარს შემაერთებელ რგოლს წარმოადგენენ, მოვალეობა ამ ორი მხარის წითელ პოლკების შეერთების პროცესში მასპინძლის როლი ითამაშოს და თავისი ხმა საერთაშორისო პროლეტარიატის რევოლიუციონურ გამოძახილს შეუერთოს...

წითელი მაისი მრავალ მხრივ საინტერესო და მიმზიდველია ქართული მშრომელისათვის; ამ ბრწყინვალე დღესასწაულში ამის ჩაქსოვილი მთელი მისი მტანჯველი წარსული და მომავლის პერსპექტივები.

პირველი მაისი მომავალი სრული ყოველ მხრივი თავისუფლების მახარობელია და ჩვენ გვწამს ამ დღესასწაულს ჩვენი ხალხი ღირსშესანიშნავად გადაიხდის.

სიმ. ხუნდაძე.

ქრისტე აღსდგა!

დე იძახონ—„ქრისტე აღსდგა!“
უსულ-გულოთ, თვალთ-მაქცურათ
და თან ხუნდი აჟღარუნონ
ქუჩა-ქუჩა მამაცურად.
დე იძახონ—„ქრისტე აღსდგა!“
სიმართლის და ძმობის მტრებმა
და თან ხალხი სახრჩობელას
გაუყენონ ვერაგებმა!
დე იძახონ... ჩვენ არა გვწამს
მათი ქრისტე, მათი ღმერთი;
არ გვწამს მათი წმიდათ-წმიდა,
სამოთხე და ჯოჯოხეთი!..
ჩვენი ქრისტე სულ სხვა არის,—
კვლავ ასვია გულს ლახვარი
და წყლულიდან, შეუპოვარს,
ისევ სდის სისხლის ღვარი!..
როცა დროშა მშრომელ ხალხის
თავისუფლად იწყებს ფრიალს;
როცა იგი სხივ-შუქს მოჰფენს
გულის ნატვრას და იდეალს;
როცა ძმობა-სიყვარული
ფრთას გაშლის და გამეფდება;
როცა ქვეყნად აღარც ერთი
ტანჯვის შვილი არ იქნება,—
მაშინ მხოლოდ... მხოლოდ მაშინ,
ჩვენი „ქრისტე აღსდგა-ც“ მოვა
და უფსკრულში ჩაინთქება
მწვალებელთ და ჯალათთ გროვა!
დღეს-კი... დე მათ იძახონ
„ქრისტე აღსდგა“ თვალთმაქცურად
და თან ხუნდი აჟღარუნონ,
ქუჩა-ქუჩა მამაცურად!..

† **ბ. ახოხპირელი.** *)

---

*) ეს ლექსი თვითმპყრობელობის დროს ცენზორის მიერ აკრძალული იყო.

ლადო კეცხოველის ხსოვნას

ნუ შემიბრალებთ... დევნა, გვემა მსურს,
ვით ბედით-კრულს ძეს ისრაელისას!
შხამ-გესლი მრავლად დამაპკურევით
თითეულს წვეთს ჩემის ცრემლისას!..
მინდა საზაროთ კვნესოდეს ჩანგი,
ვიდრემდე ვუმზერ წამებულ შვილებს;
მინდა ვუმღეროდე მწუხარე ჰანგსა;
უდროოვოდ [illegible]

—

ამ უკუღმართ და მუხთალ სოფელში,
სადაც სიმართლეს სტანჯვენ და კლავენ;
სად ფარისევლებს თაყვანსა სცემენ,
ჭეშმარიტებას ჯვარზე აკრავენ;
სად ოქრო მეფობს, ხოლო გონება,
ფეხით გათელილ, დათრგუნვილია,—
აი ამ ალაგს... იბრძვის მარადის,
ვინც-კი ცხოვრების ღირსი შვილია!..
და ჩემი გმირიც აკი იბრძოდა!
ტალღით ტალღაზე გადადიოდა;
ჭეშმარიტების გამომწვეველი,
მისი საყვირი, შორს გაჰკიოდა!..
გაწამებული ვით ალასტორა,
ეწყვიტებოდა კიდიდან-კიდეს...
ხოლო მტარვალთა ამა ქვეყნისა,
ფიცხით გასთელეს... მოჰკლეს, მოსწყვიტეს
თვისსა სიცოცხლეს... ოჰ, მეგობარო!
შენ არა გავდი იმ ფარისევლებს,
რომელნიც, თუ კი ამაღლდებიან,
ყოველ ადგილას დაღვრიან ცრემლებს.

—

მოვა დრო, ველსა ქარი დაჰქროლავს,
მწუხრი მოიცავს მთლად არე-მარეს;
შავი დრუბელი გადეფინება,
ლურჯსა კამარას, შენებრ მდუმარეს;
ჰექა-ქუხილი ასტყდება ქვეყნად,
გადილეწება ხუნდი, ბორკილი
და ხალხის გულში კვლავ გაცოცხლდება
პირველი მსხვერპლი, ცხოვრების შვილი!

† **ბ. ახოხპირელი.**

---

*) ეს ლექსი თვითმპყრობელობის დროს აკრძალული იყო ცენზურის მიერ.

I მაისი

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარმა, საერთაშორისო მუშათა ცხოვრებაში შექმნა ერთი ლამაზი ტრადიცია, რომელიც ჟამთა სვლაში უფრო მტკიცდება და იზრდება. ეს არის მუშათა ამეტყველების დღესასწაული, 1 მაისი. ამ სახელთან არის დაკავშირებული მთელი ქვეყნის „შავი ამხანაგების“ ქედის პირველი ამაღლება, თავისუფლებისა და თანასწორობისთვის პირველი უტეხი სიტყვა. თაობიდან თაობაზე გადაცემით ამ დღის შტანდარტმა დღევანდლამდე მოაღწია, და ისტორიულ დაბრკოლებათა ტევრში გამოვლილმა, დღეს იპოვა უფრო მაგარი მაჯა, ზვიადი მკერდი და ამაყი სიტყვა. პირობები იცვლებოდა. იცვლებოდენ მედროშეებიც. მაგრამ არ შეცვლილა მშრომელთა ფრონტი, თუ ცვლას არ უწოდებთ ამ ფრონტის გაშლას, და პოზიციების წინ წაწევას. ამ გვარი შეცვლა კი მოხდა. დღევანდელ მინაღწევთა სიმაღლიდან, რასაკვირველია, მცირედ მოსჩანს ის პირველი გორაკი, სადაც პირველად დაირჭო მუშათა ამაღლების ემბლემა. მცირედ მოსჩანს პირველ რევოლიუციონერთა თუმც თავგადადებული, მაგრამ რიცხვ-ნაკლები რაზმები. და უფრო დიდად სჩანს ის მიუვალობის ყრუ კედელი, რომლის იქითაც ბურჟუაზია იყო გამაგრებული. დღეს ის არ არის, რაც იყო წინად და იმდენად არ არის, რომ პირდაპირ საკვირველებად სჩანს თანამედროვე ძალთა განწყობილება. ალბად ძველი რევოლიუციონერები ფიქრსაც კი ვერ გაჰბედავდნენ, თუ რაღაც ორმოცი წლის შემდეგ სოციალისტური რევოლიუციის ქარაშოტი დაუქროლებდა ქვეყანას, და ბევრგან მოახდენდა ძველ სასახლეთა ნგრევას. მაგრამ ეს ასეა. დღეს მთელი ევროპა უჩვეულო ამბებს განიცდის. დიდი ომის მიერ დაფარული კლასობრივი ბრძოლა თითქოს უნდა შეჩერებულიყო. ეს თითქოს ასეც მოხდა. მაგრამ ომში დამარცხებულმა სახელმწიფოებმა, სამოქალაქო გამარჯვებით უპასუხეს, და ეს გამარჯვება რევოლიუციის სახით გადაიშალა. ომში გამარჯვებულნი კი არსებითად დამარცხებულნი აღმოჩნდნენ, და მალე ვნახავთ ანტანტის გატეხილ ხმალს. მის თამამ სურვილთა მიმინოს უკვე მოსტყდა ფრთა, და ალეწილ მილიარდერების სასახლეს ავ-ბედითი ზარნაშო დაჰკივის. ანგარიში არ გაუმართლდათ. ინდუსტრიალ ცხოვრების გაგრძელების მაგიერ მათ მიიღეს მილიონობით უმუშევარნი, დიდ ანექსია—კონტრიბუციების მაგიერ იღებენ ერთა აჯანყებას, და განუზომელ ექსპორტების მაგიერ, დაუნდობელი ისტორია თვით ამ ბურჟუაზიას აცხადებს საექსპორტო საგნად, ცხოვრების ველიდან—არარაობის ქვეყნისკენ.

ასეთია ისტორიის განაჩენი.

ასეთ პირობებში ჰხვდება დღეს 1 მაისის დღესასწაული, რაც საუკეთესო თავდებია მშრომელთა მალე გამარჯვებისა. ეს ქვეყნიური მასშტაბით აღებული სურათია. საქართველოშიც უცვლელია მდგომარეობა, მაგრამ არც შეიძლება არ აღინიშნოს ერთი გარემოება, რომელიც ამ პირველ მაისობას ემატებოდა ჩვენს ქვეყანაში. ეს იყო ეროვნული საკითხი. ეს მომენტი უკვე საერთაშორისო ფაქტორად არის გადაქცეული, კლასობრივ მიზნების გვერდით ეროვნული მოთხოვნილებანიც მძლავრად სჩანან, მაგრამ ჩვენში ამ გარემოებას განსაკუთრებითი ხასიათი აქვს. ამის არ თქმა ბოროტ-მოქმედების უდრის.

ქართველი ერი პირველ მაისობას დიდი ზეიმით დღესასწაულობდა, რადგან ეს სიმბოლო ეროვნულ განთავისუფლების სიმბოლოდაც მიაჩნდა. წითელი და ეროვნული დროშის ტარები გადაჯვარედინებული იყვნენ საქართველოში. ამას შეეჩვია საქართველოს მშრომელი ხალხი. ეს არ იყო მენშევიზმი, როგორც ბევრს ჰგონია, ეს იყო მენშევიზმის დიდი დამარცხება თუ გნებავთ. მაგრამ ეს არ არის საინტერესო.

საინტერესოა ქართველ მშრომელ ხალხის სულის კვეთება, და ის მაღალი და ფაქიზი გრძნობა, რომელიც ერის საკითხს ევლება გარშემო. ეროვნული დროშაც ისევე, როგორც წითელი, იმპერიალისტების დამარცხების ნიშანი იყო ჩვენში, და დღეს, პირველ მაისს, სამაისო ლოზუნგებს ემატება ჩვენი ლოზუნგი, ერის თავისუფლებისა. დღეს საქართველოს მშრომელი ხალხი ზეიმით გამოეფინება ქუჩებში, მაგრამ მის ზეიმს ჩრდილი ედგება.

მაისის თვის ორი დიდი დღე შეიყვარა საქართველოს მშრომელმა ხალხმა, და მის წარმოდგენაში ეს ორი დღე ისევეა გადაჯვარედინებული, როგორც წითელი და ეროვნული დროშა. ერთია პირველი მაისი, მეორე 26. და ჩვენც პირველ მაისიდან ალავერდს 26 მაისთან გადავდივართ. და ვუყივით მთელი ქვეყნის მშრომელ ხალხს:

გაუმარჯოს საქართველოს თავისუფლებას,
გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლუციას,
გაუმარჯოს სოციალიზმს!

ვახტანგ კოტეტიშვილი.

პირველ მაისის დღესასწაული

საზეიმო წარმოდგენები თეატრებში. მაისის 1-ს. თბილისის ყველა თეატრებში გაიმართება საზეიმო წარმოდგენები, შრომის იდეების გამარჯვების შესახებ. ამ დღეს დაიდგმება შემდეგი წარმოდგენები:

სახელმწიფო ოპერაში. „შრომის ჰიმნი", „შეთქმულები" ოპერა ჰუგენოტებიდან, (ბალეტი, აპოთეოზი) (შრომის ზეიმი)

სახელმწიფო დრამაში: „დღეს სხვა დროებაა" „ოქროს კეპი" (ქართულად) ბალეტი, საკამერო თეატრში: „თბილისის საკრებულოში" სომხური დრამა. თავისუფალ თეატრში. „წითელი ექიმი" (სომხურად)

სამუსიკო კომედიაში „ჟან-რულ", ბალეტი. სახალხო სახლში „მეტეხი" თბილისის საზაფხულო საკრებულოში. [illegible] პ. ილიჩ. განათლების განყოფილ. წარმოდგენა. თეატრ „სატირიკონში" — რევოლიუციონური პროგრამა. მოედანში — „ბრძოლა თავისუფლებისათვის" (თათრულ ენაზე) მუშათა ცენტრალური კლუბში — „მუშის [illegible]", ბალეტი. სომხურ კლუბში — „მოგზაური". პოლიტექნიკუმის თეატრში. (ავჭალაში) — ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირის წარმოდგენა, ორთაჭალის თეატრში. ინტერნაციონალური წარმოდგენა. ხიმელ-ოვში წარმოდგენა ქართ. ენაზე (ბალეტი) ავლაბარში „[illegible]" (ქართ. ენაზე) სომხური წარმოდგენა კონსერვატორიაში. სიმფონიური კონცერტი სახელ. დრამის საკონცერტო დარბაზში, ინტერნაციონალური კონცერტი. ფილარმონ. საზოგ. დარბაზში. — კამერულ მუსიკის კონცერტი. ყველა თეატრებში ორკესტრი და გუნდები შეასრულებს „ინტერნაციონალს", რომლის შემდეგაც გაიხსნება მიტინგი პირველი მაისის შესახებ.

ქართველები სტამბოლში.

აპრილის 27-ს სტამბოლიდან ჩამოვიდნენ რამდენიმე ლტოლვილი ქართველები. რედაქციას მოუტანეს ქართველების შესახებ რამდენიმე საყურადღებო ცნობა.

ლტოლვილ ქართველთა რიცხვი უდრის ამ ჟამად 5000 კაცს, უმეტესად სამხედრო პირები. ბოსფორის შესავალთან (28 ვერსტია სტამბოლიდან) არსებობს ამერიკული კომიტეტი, რომელიც აძლევს ლტოლვილ ქართველებს პურს, ბრინჯს, ლობიოს და ხან გამოშვებით ხორცს.

მთავრობის წევრთაგან ევროპას გაემგზავრა ნ. ჟორდანია, გეგეჭკორი, რამიშვილი, ჩხეიძე და საბახტარაშვილი. სტამბოლში არიან ერაძე, კანდელაკი, გვარჯალაძე, არსენიძე, ელიავა, რუსია, ივ. ქავჟარაძე, ე. ლომთათიძე, ჩხიკვიშვილი, ჯუღელი და სხვ.

გადმოგვცემენ, რომ ქალაქთა კავშირის მამებს ჯამაგირები დაენიშნათ ოსმალურ ლირების მიხედვით.

სტამბოლშივეა ტფილისის ცნობილი გმირები — კედია-ფარულია, რომელნიც დახათესავებულან ბათომში ყოფნისას, ხოლო სტამბოლში საუკეთესო ქუჩაზე (პერა) გაუხსნიათ პირველხარისხის რესტორანი.

ა. ხოშტარიაც სტამბოლშია, აპირებს ბანკის გახსნას. ქართველობა დიდ კონებრივ გაჭირვებას განიცდის და ხატრობენ სამშობლოში დაბრუნებას.

მოხუცი.

ახალი ამბები

— **შავი ქვის მრეწველობა.** მრეწველობის ყოველმხრივ შესწავლისათვის და ვისი ინტერესების უკეთესად დაცვისათვის ს. ს. ს. ო. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის ამა წლის 11 აპრილის დადგენილებით, საერთო კომიტეტთან დროებით დაარსებულია ჭიათურის შავი ქვის მრეწველობის სამმართველო. სამმართველო იქნება ჭიათურაში. მის გამგეობაში შევა მადნეული ტექნიკური მოწყობა, სარეწავისთვის აუცილებელ საქონლის მასალის მოწოდება, მთელი შავი ქვის მრეწველობის სტატისტიკის წარმოება და აგრეთვე შავი ქვის მადნეულობის ექსპლოატაციის გამგეობა. ყველა ის საკითხები, რომლებსაც წინათ აწყვეტდა შავი ქვის მრეწველთა წარმომადგენელთა ყრილობა და აგრეთვე ის საკითხები, რომლებიც შესაძლებელია აღიძრას მრეწველობის ნაციონალიზაციის გამო და რომლებიც არ ექვემდებარება სახ. მეურ. უმაღლესს საბჭოს სხვა განყოფილებებს და დაწესებულებებს, ყველა ეს საკითხები ექვემდებარება შავი ქვის მრეწველობის ჭიათურის სამმართველოს. სამმართველოს დაწესებით უქმდება შავი ქვის მრეწველობის წარმომადგენელთა ყრილობის საბჭო. სამმართველოს სათავეში სდგას 7 კაცისაგან შემდგარი კოლეგია, რომელიც არის სამმართველოს განმკარგულებელი და აღმასრულებელი ორგანო. სამმართველოს კოლეგიაში შედიან შავი ქვის მუშების პროფკავშირის ორი წარმომადგენელი და შავი ქვის მრეწველობის მომუშავე ფირმების ორი წარმომადგენელი, რომლებსაც ირჩევს შავი ქვის მრეწველობაზედ მომუშავე ყველა ფირმების საზოგადო კრება ორი წლით და თავმჯდომარეს კი ნიშნავს სახ. მეურნ. უმაღლესი საბჭო. ჭიათურის შავი ქვის მრეწველობის სამმართველო უშუალოთ ემორჩილება სახალ. მეურნ. უმაღლ. საბჭოს საერთო კომიტეტს.

— **ცალიერ მიწების დათესვა.** ყველა ცალიერი საქალაქო და დაუმუშავებელი 1 აპრილამდე კერძო მფლობელთა მიწები ქალაქის ფარგლებში ხალხმა დაიჭირა უმთავრესად ბოსტნებისთვის. კომუნალურ მეურნეობის განყოფილება ქალაქის რევკომში წარსადგენად ადგენს ინსტრუქციის პროექტს ამ მიწებიდან ქალაქის სასარგებლოდ ნატურალურ გადასახადის აღების შესახებ, რომელიც როგორც განზრახულია უნდა უდრიდეს მთელ მოსავლის მეათედ ნაწილს. ამ გადასახადს გადაიხდიან არა თუ მარტო ისინი, ვინც აიღეს მიწები კომუნალურ განყოფილების შემწეობით, არამედ ყველა ბაღების და ბოსტნების პატრონებიც. იჯარის ვადა კომუნალურ განყოფილების მიერ გაცემულ მიწებისა თავდება მოსავლის მოკრებასთან ერთად, ესე იგი 1 ნოემბერს. ყველაზე მეტი დათესილია კარტოფილი. საერთო სივრცე ქალაქის ფარგლებში დათესილია წინად ცალიერ მიწებისა არა ნაკლები 70 დესეტინაზე.

— **მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატში.** მიწად-მოქმედების კომისარიატთან დაარსებულია საბეითლო განყოფილება; მის გამგედ დაინიშნა ექიმი ს. ტუღუში.

— **მილიციის მილიტარიზაცია.** უმცროს მილიციონერებისათვის შემოღებულ იქნება სამხედრო წყობის სავალდებულო სწავლა, რისთვისაც ყველა მილიციონერებისაგან შედგენილ იქნება 13 გუნდითა ბატალიონი. ყოველ კომისარიატში იქნება კიდევ მესამე თანაშემწე კომისრისა, გამგე წყობრის ნაწილისა.

— **სოციალური უზრუნველყოფა.** სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარი ამხ. თოდრია მიდის ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში დახმარების მისაწყობათ ადგილობრივ და ლტოლვილთა და ადგილობრივ მცხოვრებთა სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებათა დასაარსებლათ.

— **სოციალური უზრუნველყოფა ქუთაისში.** ქუთაისს და გუბერნიაში მოეწყო სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილება. რაჭისა, ოზურგეთისა, ლეჩხუმისა და შორაპნის მაზრებსა და სამტრედიისა და ბაღდადის რაიონებში გაჭირვებულთა დახმარების საქმე შეიძლება ჩაითვალოს უკვე მოწყობილათ. ქუთაისში ამ დღეებში იხსნება ინვალიდთა სახლი და სოციალურ დახმარების სასადილო.

— **ინსტრუქტორთა კომისია.** მაისის 5-ს კომისია, დაარსებული სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისრის მიერ, იურისტისა, ბუჰგალტრისა, ინსტრუქტორებისა და საქმის მწარმოებლის შემადგენლობით, მიდის დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში ადგილობრივ სოციალურ უზრუნველყოფის საბჭოების მუშაობის მოსაწყობათ და ცენტრთან კავშირის დასამყარებლათ.

— **სოფ. გლახაშვილის თხზულებანი.** II ტ. რედაქციას მოუვიდა სოფრომ გლახაშვილის თხზულებანი (მეორე ტომი). წიგნში მოთავსებულია ექვსი მოთხრობა და ორი ერთმოქმედებიანი პიესა. ყველაზე მოზრდილი და საყურადღებოა რომანი „უცნობი", რომელიც ამ ტომში პირველად დაიბეჭდა. წიგნი შეიცავს 161 გვერდს და გამოცემულია კოხტად და ფაქიზად.

— **სახელმწიფო დრამის თეატრში.** 1 მაისს გაიმართება სადღესასწაულო წარმოდგენა საგანგებო პროგრამით. წარმოდგენილ იქნება ა. ცაგარლის პიესა „რაც გინახავს, ველარ ნახავ", გარდა ამისა მონაწილეობას მიიღებს სატირ-აგიტის თეატრის გუნდი („ოქროს კეპი") და ბალეტი. ორშაბათს, მაისის 2-ს მესამედ წარმოდგენილი იქნება ტ. რამიშვილის პიესა „შეშლილნი" ალ. წუწუნავას რეჟისორობით და „დარისპანის გასაჭირი" აკ. ფაღავას რეჟისორობით.

— **აგარაკების გამოკვლევა.** ბორჯომი 26—4. ბორჯომში აბასთუმნიდან დაბრუნდა აგარაკის მდგომარეობის გამომკვლევი კომისია. გამოირკვა, რომ საჭიროა ენერგიული მუშაობა აბასთუმნის აგარაკის მოწყობისათვის. აბასთუმანს შეუძლია მიიღოს 200-მდე კაცი, რომელიც საჭიროებს სანატორიულ ექიმობას, და 500-მდე, რომელიც — კლიმატიურს. ბაკურიანის აგარაკს შეუძლია მიიღოს 300 კაცი კლიმატიურ ექიმობისათვის ბარაკები დანგრეულია, და უსუფთაოთაა. საჭიროა კაპიტალური შეკეთება.

წაღვერი მიიღებს 500 ავადმყოფს კლიმატიური წამლობისთვის, და 300 სანატორიულ წამლობისთვის. შენობები მთლიანად არის შენახული. ბორჯომის გამოკვლევა გრძელდება. კომისიის ვარაუდით ბორჯომი მიიღებს 600-მდე ავადმყოფს, რომელთაც ესაჭიროებათ სანატორიული და კლიმატიური წამლობა. ყველა კურორტებს ესაჭიროება სასწრაფო მოწყობა სამკურნალო მასალით და სურსათის დიდი თადარიგით. აქ შეიძლება მხოლოდ რძის ნაწარმოების პოვნა, ისიც საქონელზე გადაცვლით

— **ამხ. ლოლობერიძის გაგზავნა.** ტფილისის ქალაქის რევოლიუციონურ კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ლევან ლოლობერიძე გაიგზავნა ბაქოში მუშათა, წითელ არმიელთა, გლეხთა და მეზღვაურებთა დეპუტატების ყრილობაზე. მის აქ არ ყოფნის დროს მისი მოვალეობა დააკისრეს კომუნალურ განყოფილების თავმჯდომარეს გ. ს. ვაშაძეს, ხოლო უკანასკნელის მოვალეობა დროებით დააკისრეს მის მოადგილეს ნიკოლოზ სოკოლოვსკის.

— **უკვალოდ დაკარგული ოფიცერი.** უმორჩილესად გთხოვთ იმ პირთ ვინც რამე იცის ოფიცერ არჩილ ვლადიმერის ძე მაჭავარიანის შესახებ აცნობოს რედაქციას იგი უკანასკნელად იყო ტაბახმელის ფრონტზე.

— **წყლის მიწოდება ქალაქში** იწარმოებს [illegible] ქვემომოყვანილი ცხრილის მიხედვით: დილის 8 საათიდან შუადღის 2 საათამდე და საღამოს 8 საათიდან ღამის 2 საათამდე: (დიდუბეში, კუკიის და მტკვრის მარჯვენა მხარის უბანში გოლოვინის ზემოთ). შუადღის 2 საათიდან—საღამოს 8 საათამდე: (ავლაბარში, ნავთლუღში, ხარფუხში და [illegible] ბაზარში)

— **ხელოვნების სასახლეში.** ქართველ პოეტთა კრებაზე 26 აპრილს პოეტმა ტიციან ტაბიძემ გააკეთა მოხსენება ლაფორგის შემოქმედებაზე. მომხსენებელმა დახატა საფრანგეთის სიმბოლისტის სახე და მისი შემოქმედების შინაარსი. მოხსენების შემდეგ წაიკითხეს ლაფორგის ლექსები. პოეტმა პაოლო იაშვილმა წაიკითხა ლაფორგის საუკეთესო ლექსი „სამგლოვიარო მარში დედამიწის სიკვდილზე", რომელშიც განსაკუთრებულ სიძლიერით გამოხატულა ლაფორგის მთელი ტრაგიკული პაფოსი. ტაბიძის მოხსენებამ გაცხოველებული კამათი გამოიწვია. პარასკევს 29 აპრილს არტურ რემბოზე მოხსენებას გააკეთებს პაოლო იაშვილი.

— **სასადილოების დეფიციტი.** შრომის სახალხო კომისარიატის სასადილოების დეფიციტის დასაფარავად და აპრილის მისატან ხარჯებისათვის შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ მიიღო შემდეგი დადგენილება: საერთო მაშტაბით გამართულ სასადილოების დეფიციტი უნდა დაიფაროს შრომის სახალხო კომისარიატის სახსარით.

— **უმუშევართა ოჯახები.** შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა, ერთი ოჯახი ითვლებოდეს საშუალოთ 3 სულის შემადგენლობით. ამასთან უმუშევართა პურით დაკმაყოფილებისა გადაწყვეტილია მომარაგების სახალხო კომისარიატთან აუცილებლათ იქონიოს სათანადო შეთანხმება. შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ მისცა წინადადება აღრიცხვის და შრომის ძალის განაწილების კომისიას, რათა შეუწყვიტონ პურის მიცემა იმ უმუშევართ, რომლებიც უარს იტყვიან მათთვის დანიშნულ სამუშაოზე.

— [illegible] **ტრამვაი.** ამჟამად მუშაობს [illegible] ელექტრონის ვაგონი [illegible] მისაბმელი. ახლა ტრამვაის ვაგონების რიცხვი გადიდებულია 30-მდე და გამოშვებულია 2 [illegible] ვაგონი.

— **ქალაქის ელექტრ. ტრამვაის** დირექციამ გაგზავნა ბაქოში 2 მოსამსახური ტრამვაის ვაგონების შესაკეთებელ მასალის შესაძენათ.

— **ახალი კოლექტივი.** თბილისში შესდგა მუსიკალურ კომედიის და დრამის არტისტების ახალი კოლექტივი „ნოტე" ს [illegible]. ეს კოლექტივი განათლების სახალხო კომისარიატის გამგეობაში იმყოფება. კოლექტივის შემადგენლობაში შედიან: ა. სევეროვსკი, მ. დიევსკი, პავლოვსკი და სხვ. კოლექტივმა თავის რეჟისორებად მუსიკალურ კომედიის დარგში აირჩია: ა. სევეროვსკი დრამატიული დარგში მ. [illegible]ვსკი. კოლექტივმა მოლაპარაკება გამართა მთავარ პოლიტიკურ განათლების განყოფილებასთან, რომელსაც დასახული აქვს საჩვენებელ თეატრის ორგანიზაციის გეგმა.

— **მუშათა ცენტრალური კლუბი.** პროფესიონალურ საბჭოს კულტურულ-განმანათლებელ განყოფილების ინიციატივით მოხდა თეატრ „კოლიზ-პალას"-ის რეკვიზიცია; იგი გადაეცა მუშათა ცენტრალურ კლუბს. შემდეგში აზრად აქვთ დასდგან რევოლიუციონური მეცნიერულ და სანახაობითი ხასიათის სურათები.

— **თეატრების ნაციონალიზაცია.** განათლების სახალხო კომისარიატის სათეატრო განყოფილების გამგემ დადიანმა გრუჯავრობას თან
[illegible]
იმაში უნდა გამოიხატოს, რომ
თეატრი გამოეცხადდეს სახელმწ
კუთრებად და იგი უფასო. ამ
ძიების გასატარებლად უკვე გ
ლია კონკრეტული ნაბიჯები.
კონკრეტულ და ენერგიულ ზომ
ნა-თეატრების მოსაწყობად და
მატოგრაფიულ წარმოების გ
თოვებლით. აზრად აქვს გა
მთელი რიგი საუკეთესო ს
დრამატიულ განათლების და
სახელია გრეჩემ რამდენიმე
ნა: დრამატიულ ხელოვნების
ვაწვეთა მოსამზადებლად
იხსნას ორი დრამატიული
2 თვიანი და 2 წლიან კურ
სტუდიები უნდა დაარს
როგორც ცენტრის, ისე პრო
მოთხოვნილებაში. შემუშავება
თეატრის პროექტი. უკვე შემ
ლია დეკრეტი სამეგზო თეატ
უფასოა და მიღებულია
ზომები ამ თეატრის გასახსნ
მონახულია სათეატრო შენობა,
სები და სხვ. აღ. დად.
თეატრო განყოფილების თეატ
ში 3 უმთავრესი მიზანი აქვს
შექმნას რევოლუციონური
[illegible] თეატრი, თუ [illegible]
დებს, მაშინ თეატრი ამ
[illegible] შესრულების
[illegible] დასასრულ
განაცხადა: აზრად აქვს
[illegible] თეატრი, რომელიც
ციაში წარმოადგენს
რის საზამთრო სეზონი
ისევე, როგორც წინა წლებში.

რადი

საფრანგეთი ემზადება [illegible]
ხალხები ოკუპირებ

ბათუმი. როგორც იტყობინებ
რიზიდან, ელისეის სასახლეში
ზე მოწყვეტილ იქნა
შეთის 3. ოკუპ. 1918 და 191
ში გასაწვევთა მობილიზაციის
ახალი სამხედრო და ეკონომიკ
პაცია უნდა გაფართოვდეს
თო სამრეწველო ოლქი. და
ლის ილქის სამრეწველო
მერის პროექტი. გამოხ
გეთ გადასახადის დაწყებ
ცმა რაიონი წარმოების
პროექტით ყოველწლიურ
ამ გადასახადიდან
არდს.

ჩეხო-სლოვაკიის ხასიათ
მუშათა გაფიცვა.

რიგა. [illegible]
გაფიცვამ ფართო ხასიათი
ფიცულთა რიცხვი 200.000
რია სასოფლო-სამეურნეო
ფიცვა კომიტეტი
მუშათა სრული გამარჯვებ
და, რომელიც
თვალსაჩინო

კიდევ გაფიცვა.

რიგა. [illegible]
სპორტის საზოგადოება
გ.ს [illegible]

ახალი [illegible]

[illegible]

ხიმიხის [illegible]

[illegible]

რეფორმები [illegible]

ათინა. პარლამენტის
[illegible]
ერთი ცვლილებები
[illegible]
თან პოლიტიკურ
წორების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია-პოლონეთის შეთანხმება

ნაუენი. აპრილის 21 პარიზში ხელი მოაწერეს გერმანია-პოლონეთის შეთანხმებას ტრანზიტის შესახებ.

სისხლის მღვრელი შეტაკება იტალიაში

ნაუენი. ბალზაგოში მოხდა ახალი სისხლის მღვრელი შეტაკებანი: დახოცილია რამდენიმე გიროლელი. ბევრია დაჭრილი.

საბერძნეთი და ოსმალეთი

სტამბოლი. სტამბოლში მოსული ცნობებით იტალიის მთავრობას გადაუწყვეტია გამოვიდეს შუამავლის როლში საბერძნეთსა და ოსმალეთ შორის. არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ ამ შუამავლობას კარგად შეხვდებიან.

ფლოტი.

ბათომი. 24-4 (ტელეგრაფით). პარიზიდან იწერებიან, რომ მალე დასრულდება ახალ სარეისო გემთა აშენება: ინგლისისთვის 16, შეერთებულ შტატებისათვის—16, საფრანგეთისთვის—5, იაპონიისთვის—12, ინგლისმა დაასრულა 4 კრეისერის აშენება, იაპონიამ—6.

ბრიანის განცხადება გერმანიის შესახებ.

ბათომი. საფრანგეთის პრემიერმა ბრიანმა განაცხადა, რომ მიუხედავად გერმანიის თხოვნისა და პროტესტებისა მისი მთელი სახელმწიფო და კერძო ქონება. ქარხნები, მაღაროები, ტყეები და რკინის გზები უნდა ემსახურებოდეს მოკავშირეებს, სანამ კონტრიბუცია მთლად არ იქნება ანაზღაურებული.

ცოცხალი ლეში

სტამბოლი. საფრანგეთი დარწმუნდა რა ვრანგელის ლაშქრის, როგორც სამხედრო ძალის რუსეთის საწინააღმდეგოთ გამოყენების შეუძლებლობაში, სრულიად შესწყვიტა ვრანგელთან ყოველგვარი დამოკიდებულება. გადაწყვეტილია ხელი შეუწყოს ვრანგელის ჯარის კაცების დაბრუნებას რუსეთში, მიუხედავად ვრანგელის პროტესტისა, ჯარის კაცთა სხვა ნაწილი გახიზნულია გამოიყენონ მუშებათ ყავის პლანტაციებში სამხრეთ ამერიკაში. კუნძულ ლემნოსთან მზათ დგას 2 ოსმალეთის გემი, რომელიც წაიყვანს იმათ, ვისაც სურს სამშობლოში დაბრუნება.

რუსეთი და ინგლისი.

ჟენევა. მიღებული ცნობებით, რუსეთმა დიდძალი ლოკომოტივები შეუკვეთა ინგლისში. ინგლისური პრესა კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ინგლისის და რუსეთის კონტრაქტი ლოკომოტივების შესახებ აძლევს სამუშაოს 5000 ინგლისელ მუშას 5 წლით.

ჩეხელი კომუნისტები.

პრაგა, ჩეხიის კომუნისტების პირველმა კონგრესმა გამოიტანა დადგენილება ყოველგვარი პირობის გარეშე მე 3 ინტერნაციონალში შესვლის შესახებ.

ერთა ლიგიდან გადიან.

ნაუენი. როგორც ჩიკაგოდან იტყობინებიან, ჩიკარაგუას რესპუბლიკამ განაცხადა, რომ ის ერთა ლიგიდან გავიდა.

ვერასოდეს ვერ შეთანხმდებიან.

ნაუენი. საფრანგეთის კაბინეთის გადაწყვეტილებამ, რათა ტრიანონის ხელშეკრულების რატიფიკაცია ახალ დამატებითი ცნობების მიღებამდე გადადებულ იქნეს, უნგრეთის პრესა შიშს გამოსთქვამს, რომ მცირე ანტანტის ინტრიგები საზავო ხელშეკრულობის გარშემო შექმნიან ახალ გართულებას.

ზღვების გაწმენდა.

ნაუენი. გერმანიის ტრიოლთა ფლოტილიამ დაათავა გაწმენდა ჩრდილოეთ ზღვისა ნაღმებისაგან. პირველად 1912 წლის შემდეგ ჩრდილოეთ ზღვაში აღარ არის ნაღმიანი ალაგები.

ტიროლი გერმანიას ელტვის.

ნაუენი. ტიროლში მომხდარ პლებისციტის დროს დათვლილ ხმების მიხედვით გერმანიასთან შეერთების წინააღმდეგ მხოლოდ 1500 მისცა ხმა. 112,000, ე. ი. 90 დ. გერმანიასთან შეერთებას მიემხრეს.

საბერძნეთი ომიანობის ხუხის ქვეშ.

ბათომი. სმირნიდან იუწყებიან, რომ საბერძნეთის სამხედრო ხელისუფლებმა სამხედრო სამსახურში გაიწვიეს საბერძნეთის ქვეშევრდომი ოსმალები 1891—1991 წლებისა. გაწვევის ვადა გათავდა და გაწვეულები უკვე რაზმებში განაწილეს. ქალაქის სამხედრო ბანაკს წარმოადგენს. ნავთსადგური სავსეა ტრანსპორტით. რომელსაც მოყავს ჯარი რუმინიიდან, თუმცა სმირნის სომხები და ბერძნები არ გაუწვევიათ, მაგრამ ბევრი მათგანი მოხალისეთ ჩაეწერა.

ბერძნების წინააღმდეგ.

ბათომი. სტამბოლიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ საბერძნეთის ხელისუფლებმა იზიდაში აღმოაჩინეს შეთქმულება, რომლის მიზანიც იყო ქალაქში გრანდიოზულ აფეთქების მოწყობა. საბერძნეთის გაზეთების ოფიციალური ცნობით დატუსაღებულია 200 მეტი ოსმალო.

საშუალო ევროპის კრედიტები.

ჰააგა. პარლამენტმა მოიწონა კამათი დასავლეთ ევროპის ზოგიერთი სახელმწიფოსთვის 6 პროც. კრედიტის შესახებ.

რუსეთ ამერიკის ურთიერთობა.

რომი. გაზეთები იუწყებიან, რომ კრასინი მაისის გასულს მიდის კანადაში კომერციულ საქმეებზე. ფიქრობენ სავაჭრო ურთიერთობის განახლებას.

მუშებს შეერთებულ შტატებში დასახლების აკრძალვა.

ვაშინგტონი. კონგრესმა დაამტკიცა კანონი მუშების იმიგრაციის შეზღუდვის შესახებ. რადგან შეერთებულ შტატებში უმუშევრობა სუფევს.

ფულის სისტემა.

ბუდაპეშტი. ჰუნგრეთის ფინანსთა მინისტრმა შეიტანა პარლამენტში კანონის პროექტი ჰუნგრეთში ფრანგულ ფულის სისტემის შემოღების შესახებ.

ტიროლის შეერთება გერმანიასთან

ლიონი. პლებისციტმა, რომელიც გაიმართა ტიროლში გერმანიასთან შეერთების საკითხის შესახებ ხმის უმეტესობა მისცა გერმანიის რესპუბლიკასთან შეერთების სასარგებლოთ.

ზარალის ანაზღაურება

ბერლინი. გაზეთი „ოინსლიგპოსტი" იუწყება, რომ გერმანიის ახალი წინადადება არ უარყოფს ანტანტის მიერ დანიშნულ გადასახდელ ფულის რაოდენობას, მხოლოდ წინადადებაში იძლევა ფულის გადახდა გაგრძელდეს უფრო დიდის ვადით. მეორე გაზეთი „ბერლინერ ტაგებლატი" პროტესტს აცხადებს წინააღმდეგ გერმანიის მთავრობის დაუდევრობის ზარალის ანაზღაურების საქმეში. გაზეთი სწერს: მთავრობამ არ მიიღო ყველა საჭირო ზომები ამ საკითხის გადასაწყვეტად. საფინანსო უწყებამ და კანცლერმა არ გამოიჩინეს საჭირო წინდახედულობა.

ანაზღაურების საკითხი

ნაუენი. გერმანიის ახალი წინადადება აპრილის 25 ს გაიგზავნა ვაშინგტონში. დეტალები, რომლის წინადადებასაც გერმანელები იძლევიან, შეკველათ საკმაოდ უახლოვდებიან პარიზის მოთხოვნას.

მდგომარეობა გერმანიაში.

ნაუენი. გერმანიის შინაური პოლიტიკური მდგომარეობა ძლიერ გართულებულია. დღევანდლამდე კრიზისს თავიდან იცილებდ[illegible] მხოლოდ მდგომარეობის [illegible] შესდგა კაბინეტის და რეიხსტაგის [illegible] საგარეო საქმეთა საპარლამენტო [illegible]-ის გაერთიანებული სხდომა. სათათბიროს შედეგს ინახავენ ფრიად საიდუმლოთ.

გადამწყვეტი ბრძოლა ივნისში

ბათომი. რომიდან იუწყებიან, რომ იტალიის გაზეთები გადამწყვეტ ბრძოლას ანატოლიაში მოელიან ივნისში. ორივე ლაშქარი გადამწყვეტ ბრძოლისთვის ემზადება.

ძალებს აგროვებენ

ბათომი. ტრაპიზონიდან იტყობინებიან: ანგორის ოფიციალური ორ უკანასკნელ დღის ცნობაში ნათქვამია, რომ ყველა ფრონტზე სიწყნარეა. ქემალისტების [illegible] იქმნა. ითუსა და უშაკი ბერძნების ხელშია. ორივე მხარე აგროვებს ძალებს და ემზადება აქტიურ ოპერაციისათვის.

სტამბოლი და ანგორა.

ბათომი. კონსტანტინოპოლში სიასოფიის მეჩეთში სულთანის ბრძანებით მოხდა დიდი ლოცვა ანატოლიაში დახოცილ ოსმალელ მეომართა სულის მოსახსენებლათ. ღვთის მსახურება შეიხ-ულ-ისლამმა შეასრულა. დაესწრნენ მეფის მემკვიდრე, უმაღლეს მოხელენი, გენერლები და ხალხი. შეის-ულ-ისლამმა წარმოსთქვა შესანიშნავი სიტყვა. სტამბოლის გაზეთი „ილერი" მიესალმება ლონდონიდან დაბრუნებულ სტამბოლის დელეგაციის მეთაურს თევფიქ ფაშას და აღნიშნავს ანგორის და სტამბოლის დელეგაციის შეთანხმებულ მუშაობას კონფერენციაზე.

სიმღერა პირველ მაისობისა

ჩვენ, ქართველების ცეცხლურ ბუნებას
სახალხო დროშით მივყევართ წინა;
ცალ გვერდში გვიდგა მშრომელი ხალხი
და მეორეში ცეცხლი და რკინა.
თეთრი გიორგიც სულ ჩვენთან არის
ყრმა, ქართველობის ნიშანი წმინდა,
თავისუფლების მზისკენ მიგვიძღვის
და ჩვენ სუყველას იქითკენ გვინდა.
მივალთ რწმენითა გარდაუვალით,
მივალთ სამივე ქართულის ფერით,
ქართულად გვიდუღს ქართული სისხლი
და სიმღერასაც ქართულსა ვმღერით.
  მაშ ასწით დროშას დროშების მზესა,
  ხმასაც აუწით, ააკანეთ,
  პირველ მაისის დღე არის დღესა,
  ქვეყანა ბრწყინავს წითლად და მწვანედ.

—

რომელი მივა ჩვენზე წინ იქა,
სადაც ჩაგრულთა შვების მზე ბრწყინავს?
თავი მოგვიკვდეს, თუ ულალატოთ
იმას, საითაც გული გვიფრინავს!
მაგრამ რამდენი ბრძოლა მოჰხდება!
რამდენი გმირი დაწვება კვალად!
თავისუფლება არ მოდის მუქთად,
ბატონისაგან განაწერ ძალად.
და როცა მივა ქვეყნად სუფევა
ძმათა—შორისო სასურველ მზისა,
ჩვენ დავისვენებთ ყვავილთა ჩრდილ-ქვეშ,
ზურგით მზიდველნი წამების ჯვრისა!..
  მაშ ასწით დროშას დროშების მზესა,
  ხმასაც აუწით, ააკანეთ,
  პირველ მაისის დღე არის დღესა,
  ქვეყანა ბრწყინავს წითლად და მწვანედ!

ი. მჭედლიშვილი.

1921 გაზაფხული.

46

პარტიაში

მაისის 1-ლს საღამოს სრულ ექვს საათზე დანიშნულია დრ. მთავარ კომიტეტის და საპროფესიო ორგანიზაციების წარმომადგენელთა შეერთებული კრება გაზ. „სოციალისტ ფედერალისტი"-ს რედაქციაში. დასწრება სავალდებულოა.

მუშათა წერილები

საჭიროა კულტურული მუშაობა

იმ დროს, როდესაც შექმნილი მძიმე კრიზისების ზეგავლენით დღეს ჩვენი ხალხი ლამის არის სულსა ჰლაფავს, როდესაც მცხოვრებლების უკანასკნელი ნივთებიც კი ბაზარზე გამოაქვთ გასასყიდათ რომ ამითი თავი გადაარჩინოს უბედურ შემთხვევებს, იმ დროს, როდესაც რესპუბლიკის მცხოვრებთა თითქმის დიდი უმრავლესობა ნამდვილ ტრაგიზმს განიცდის—აი ამ სასტიკ ულმობელობას ზედ ერთვის ავაზაკთა და ქურდბაცაცათა თავისუფალი თარეში მოქალაქეებისადმი და ეს საშინელება მთელი თავისი სიდიადით ქ. ტფილისის ცხოვრებაში ისე შეუბრალებლად ხდება, რომ ყოველს ჩვენთაგანს ისე ჰგონია, თითქოს ჩვენს გარშემო გარდა სურსათის სიძვირისა—არაფერი მოხდარიყოს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ მომხდარ ფაქტებს, ჩვენს წინაშე გადიშლება სურათი საშინელებისა.

ამ წერილში ჩვენი სურვილია მკითხველის ყურადღება მივაქციოთ ავაზაკთა თარეშს, რომელმაც განსაკუთრებით ამ ბოლო დროს თავისუფალი და ფართე ხასიათი მიიღო ჩვენს ცხოვრებაში; და რომ ჩვენ უფრო ნათელი წარმოდგენა გვქონდეს ტფილისის ცხოვრებაზე, ურიგო არ იქნებოდა მაგალითისათვის ავიღოთ ქალაქის ისეთი რაიონი, რომელიც ამ მხრივ პირდაპირ გაუბედურებული მსხვერპლად შეიქმნა ბნელი ელემენტებისა.

მკითხველებს ჰგონებთ მოეხსენებათ რომ თბილისში ერთი დიდი რაიონი თავის მცხოვრებთა რაოდენობით გახლავთ მე 8 უბანი ეგრეთ წოდებული „ჩუღურეთი", რომელსაც ჰყავს საკმაოდ კულტურული ძალები და დემოკრატია და მიუხედავად ამისა, ერთ და იგივე დროს ეს ჩუღურეთი წარმოადგენს ნაძირალების ბუნაგს. [illegible] დღე არ გათენდება რომ რომელიმე ოჯახი ქურდბაცაცების მსხვერპლი არ გახდეს და ეს იმ დროს, როდესაც ამ რაიონს რასაკვირველია ჰყავს თავისი ადმინისტრაცია მილიციის სახით და მიუხედავად ამისა ხშირია ისეთი შემთხვევა, როდესაც რომელიმე ოჯახს გაძარცვავენ და ასეთი ამბავი ადმინისტრაციისათვის გაუგებრად რჩება და როდესაც ჩვენ ამ ფაქტს ანგარიშს ვუწევთ, ვფიქრობთ — ალბათ, ავაზაკთა ძალა აღემატება ადმინისტრაციისას და რაკი ეს ასეა, ასეთ შემთხვევაში აუცილებლად საჭიროა დამხმარე ძალა. დამხმარე ძალებად ჩვენ ვგულისხმობთ სოციალისტურ ელემენტებს. ჩვენ ზევითა ვსთქვით, რომ ჩუღურეთს საკმაო კულტურული ძალები ჰყავს, და მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ძალებს დღიდან რევოლიუციისა, რეალურად არავითარი შემოქმედებითი უნარი არ გამოუჩენიათ რაიონის ცხოვრებათა თავდაცვის საქმეში. მათი საქმიანობა ყოველთვის ვიწრო პარტიული თვალსაზრისით განისაზღვრებოდა.—იწყებოდა კოლექტივით და თავდებოდა [illegible]. და მიტომაც არის რომ ეს რაიონი ჩამორჩენილია და არ მოეპოვება არავითარი სათანადო დონეზე დაყენებული დემოკრატიულ - კულტურული დაწესებულება. ნ. ჟორდანიას სახელობაზე არსებულმა საკითხველომ ისე დაჰკარგა თავისი არსებობის სახე, რომ ძლივს ახსოვს—იგი არსებობს კიდევ თუ არა. სახალხო უნივერსიტეტი იყო და უსახსრობის გამო მიმდინარე წელს სავსებით შესწყდა და იგი ცენტრში გადაიტანეს. სხვა კულტურული დაწესებულება ჩუღურეთს არ მოეპოვება.

მოგეხსენებათ, რომ სადაც კულტურაა, იქ ანარქიას ნაკლები ან სავსებით ადგილი არა აქვს და აი ეს შეცდომა როგორც იქმნა [illegible] ზოგიერთებმა და დაიბადა იდეა ჩუღურეთის მუშებში კლუბის დაარსების შესახებ. შესაფერი ნაბიჯები გადაიდგა. ინიციატივითა ჯგუფმა რაიონის მცხოვრებთა საერთო კრებაზე მიიწვიეს აგრეთვე ხელოვნების მკოდნე პირები და ამ ხალხმა ქალაქის თვითმართველობის დახმარებით ორგანიზაციის სახით ბინაც უკვე იშოვა. ამორჩეულმა კომიტეტმა უკვე დიდი ხანია, რაც შეუდგა შემოწირულებათა შეკრებას და ამ საქმიანობამ დღევანდლამდე რა შედეგს მიაღწია, არ ვიცით. კულტურული მუშაობა მუშათა კლუბის და სახალხო უნივერსიტეტის სახით აქამდე უნდა დაწყებულიყო და თუ იგი შეფერხდა—ეს ალბად, აწ დამთავრებულ ბრძოლის და საქართველოში მომხდარ ცვლილებებს უნდა მიეწეროს, მაგრამ რაც მოხდა იგი დავიწყებას უნდა მიეცეს. ინიციატორთა ჯგუფმა ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყოს ის მოვალეობა, რომელიც მას ამ რაიონის მცხოვრებთა მშრომელმა დემოკრატიამ დააკისრა. დღეს როდესაც ცხოვრება ესოდენ გართულდა, დღეს როდესაც შექმნილი მდგომარეობით ბნელმა ძალებმაც თავი წამოყვეს—აი, სწორედ დღეს არის ხალხის პატრონობა და მეთაურობა საჭირო. უნდა ამოძრავდეს მთელი ჩუღურეთის კულტურულ ძალთა ენერგია, უნდა [illegible] ჩუღურეთის დემოკრატ[illegible] კულტურის მნათობი [illegible] ის უდაბნოს მსგავსი წყვდიადი, რომელიც ჩუღურეთს [illegible] და გვწამს, რომ ბნელი ძალებიც განიბნევიან.

თორემ ახლა რასაც ჰგავს ის მდგომარეობა რომ ამ რაიონში ავაზაკები იმდენად გათამამდნენ, რომ დათარეშობენ დღე, მზისით, სტეხენ სახლებს და გააქვთ ღარიბ-ღატაკთა ოჯახებიდან უკანასკნელი საცვლებიც-კი და მათს ასეთს თავისუფალ მოქმედებას საზღვარი არა აქვს. წარსულ თვეში ამატუნის ქუჩაზე ერთი კვირის განმავლობაში ოთხი-ხუთი სახლი გატეხეს საიდანაც რამდენიმე მილიონათ ღირებული ქონება წაიღეს და ვერც პატრონებმა და ვერც მართველობამ მიუხედავად მიღებული ზომებისა, ავაზაკთა კვალს ვერ მიაგნეს. ამავე ქუჩაზე ხანშირით მოვაჭრე გლეხ-კაცის ურმიდან უღელი ხარი გამოუშვეს და წაიყვანეს და ვინ. მოსთვლის კიდევ რამდენ მსგავს მაგალითებს აქვს ადგილი ჩუღურეთში. ამ რაიონში ბევრი საეჭვო პირები სცხოვრობენ, არაფერს არ აკეთებენ, მაგრამ მაინც მშვენივრად სცხოვრობენ და ქეიფსაც ეწევიან.

როგორც მკითხველიც ხედავს, ამ რაიონში უსათუოდ მძლავრი ქურდბაცაცათა ორგანიზაცია უნდა არსებობდეს. ეს იცის თვით ამ უბნების მცხოვრებლებმა, მაგრამ სდუმან, სდუმან, რადგანაც—[illegible] ძახილი და იგინი გათამამებულ ავაზაკ-ქურდების ტერორის ზეგავლენის ქვეშ სცხოვრობენ და როგორც ზემოთა ვსთქვით ამ რაიონის დემოკრატიული ელემენტები კი ასეთ [illegible], დაქსაქსულნი არიან.

ასეთია მე-8 უბნის მდგომარეობა მოკლედ, თუმცა მისი ცხოვრების შესახებ ბევრის დაწერა და თქმაც შეიძლებოდა. დარწმუნებული ვართ თბილისის ცხოვრებაში მე 8 უბანი აუცილებლად გამონაკლისს არ შეადგენს და ვფიქრობთ, ალბად ქალაქის დანარჩენ ნაწილებშიც უნდა ჰქონდეს ასეთ არაჩვეულებრივ და სისტემატიურ დეფექტებს ადგილი, თუმცა კი ასეთ მოვლენების შესახებ პრესაში არავითარი ცნობები არ იწერება. ჯერ-ჯერობით დაზარალებულთა და გაძარცულთა ნუგეში მხოლოდ ადმინისტრაციის მიერ შედგენილი ოქმებია და იშვიათი შემთხვევა რომ პატრონმა დაკარგული ნივთები უკანვე დაიბრუნა.

ჩვენ დარწმუნებული ვართ ახალი სოციალისტური მთავრობა და მმართველობა ამ საქმეს სერიოზულ ყურადღებას მიაქცევს და სათანადო ზომებს მიიღებს ყველა ზემოაღნიშნულ მოვლენათა არა თუ შესანელებლად, არამედ მისი ძირიან-ფესვიანად ამოსაგდებად—ამ საქმეში ხალხი აუცილებლად დაეხმარება მთავრობას.

მე კი, როგორც ამ რაიონის მცხოვრები მოქალაქე, მოუწოდებ ჩუღურეთის დემოკრატებს, დაუყოვნებლივ და გაორკეცებული ენერგიით გააჩაღონ კულტურული მუშაობა.

კმარა მარტო პარტიული დოგმების გარშემო ტრიალი—კულტურულ მუშაობას ერისა და დემოკრატიის ცხოვრებაში უაღრესი მნიშვნელობა აქვს.

ეს კი ჩვენი საქმეა—მუშა—დემოკრატიის!

მუშა დ. მელია.

აზერბაიჯანში

მუშათა ძალების მოწყობა.

ხე-ტყის მუშათა კავშირი შეუდგა ელენენდორფში მუშათა ძალების, ბოსტნებისა და ვენახების გაშენებას.

ბამბეულზე მომუშავეთა კომიტეტის მოწყობა.

უმაღლეს ეკონომიური საბჭოს დადგენილებით სასწრაფოდ ეწყობა აზერბეიჯანის ბამბეულზე მომუშავეთა კომიტეტი.

საქონლის გაცვლა სოფლად.

მიღებულ გადაწყვეტილების თანახმათ, რათა 1921 წ. აზერბეიჯანში ამ მოიკრიბოს სასურსათო გადასახადი, აზერბეიჯანის მომმარაგებელ საზოგადოებათა კავშირი, სასურსათო განყოფილების კომისარიატის წინადადებით, აწარმოებს დიდს სამხედროს საქონლი-

სას გასაცვლელად სოფლად. ამ მიზნით სასურსათო განყოფილებამ გადასცა ადერბეიჯანის კავშირს 100,000 არ. ბიაზი, 2,000000 კოლოფი ასანთი, 500000 ფუთი შაქარი და 10,000000 პაპიროსი, უკვე დაიწყო ამ საქონლის გაგზავნა მაზრაში.

ბრძანება № 9

ყველა რაიონების საბინაო ქვეგანყოფილებათა გამგეებს, რაიონის აგენტებს და ცენტრალურ საბინაო განყოფილების ყველა თანამშრომლებს მიუხედავათ ჩემი არა ერთი სიტყვიერი განკარგულებათა და წერილობითი დარიგებისა და წინადადებათა, კვლავ მომდის სარწმუნო ცნობები, პასუხის მგებელ ამხანაგებისაგან და საერთოდ საჩივრები მოქალაქეთაგან რომ საბინაო განყოფილების თანამშრომლები ვერ დგანან თავიანთ დანიშნულების სიმაღლეზე, ბოროტად იყენებენ მათდამი მინიჭებულ უფლებებს და დაუდევრობით, უტაქტობით და ხშირად განზრახული ფარული შავი მიზნებით ამწვავებენ ისედაც გართულებულ ბინის საკითხს ქალაქში, ამით ისინი იწვევენ სამართლიან გულის წყრომას ამხ. მუშებში და საერთოდ ფართო მასებში რითაც ჰქმნიან უკმაყოფილებას საბჭოთა საბინაო პოლიტიკის წინააღმდეგ. ვიღებ რა ყოველივე ამას მხედველობაში უკანასკნელად გაბრთხილებთ და გიბრძანებთ. რომ ბინების რეკვიზიციის დროს იხელმძღვანელოთ შემდეგი: 1) სამაგიერო ბინის მიუცემლად არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქმნას გამოსახლებული არც ერთი მოქალაქე, რა საჭიროებისთვისაც არ უნდა იცლებოდეს სახლი თუ ბინა, განურჩევლად იმისა, რა ელემენტითაც არ უნდი იყოს დასახლებული სახლი. 2) ვალდებულნი ხართ გამოიჩინოთ სრული ყურადღება წინდახედულობა დამიუდგომლობა თქვენთან მომავლელ მთხოვნელების მიმართ. 3)მოქალაქეთა გამოსახლებისა და ჩასახლების დროს ვალდებულნი ხართ მოახდინოთ წინასწარი სრული გამორკვევა, იმისი თუ როგორია ოთახების რიცხვი, აგრეთვე რა ელემენტით არის დასახლებული სახლი. 4) პარტიული და პასუხისმგებელი ამხანაგებისათვის ბინის მიჩენის დროს განსაკუთრებული სისწრაფით და ყურადღებით უნდა შესრულებულ იქმნას კოლეგიის განკარგულებანი. 5) სასტიკათ აკრძალულია უდროო დროს ბინებში სიარული და მოქალაქეთაგან ცნობების მოთხოვნა და საერთოდ ისეთი ბინებისა და სახლებისა დათვალიერება რომელთა მოსახლეების შესახებ რაიონულ განყოფილებათ ცნობები უკვე აქვთ.

შენიშვნა: ბინებში შესვლა ნებადართულია დილის 9 ს. საღ. 7 ს. განსაკუთრებულ შემთხვევაში ბინის დათვალიერება სხვა დროსაც დაშვებულია, ხოლო ყოველ ცალკე შემთხვევაში ამაზე ცენტროჟილიდგან გაცემული ორდერით.

6)აკრძალულია უცხო ქვეშევრდომებით დასახლებული ბინების რეკვიზიცია, თუ ამის შესახებ არ არის განსაკუთრებული განკარგულება ცენტროჟილისა და გარეშე საქმეთა კომისარიატის შეთანხმებით. 7) ოთახების რეკვიზიციის დროს უთუოდ უნდა დაცული იქმნეს ის განსაკუთრებული პირობები რომელნიც ასეთ შემთხვევებისათვის შემუშავებულია: პასუხის მგებელ ამხანაგების, სამხედრო დაწესებულებათა უმაღლეს თანამშრომლების, პროფკავშირების წევრების, პროფესორების, ექიმების და სხ. ასეთების შესახებ, ყოველივე ამის სისწორით ცხოვრებაში გატარებას თვალყურს ადევნებენ: მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენლობა, პროფკავშირების კონტროლიორები, რაიონულ რევკომის რწმუნებულები და თვითოეული მოქალაქე. ყოველ საფუძვლიან საჩივარს ცენტროჟილის თანამშრომლების მიერ ამ ბრძანების დამრღვევის შესახებ მივიღებ ყოველ დღე დილიდან საღამომდე, მიიღეთ ყოველივე ეს ცნობად და ასასრულებლად და გახსოვდეთ ყოველ თქვენს ნაბიჯს, თვალყურს ადევნებენ ფართო მასების წარმომადგენლები. დაუდევრობა საქმისადმი გულცივობა, მოქალაქეთა უსამართლო შევიწროვება, ძირშივე იქნება აღმოფხვრილი და დამნაშავენი ღირსეულად დასჯილნი. ცენტრალური საბინაო განყოფილების თავმჯდომარე. **სერგო მეგრელიშვილი.**

ამხ. ანეტა ხუროშვილის ხსოვნას

26-ს აპრილს გამოესალმა უკანასკნელად ჩვენი ძვირფასი მეგობარი ანეტა, ტფილისის პირველ გიმნაზიის მე-6 კლასის მოწაფე. მხოლოდ თექვსმეტი წელი გაიმეტა მისთვის დაუნდობელმა წუთი-სოფელმა, მართლაც რომ შენთვის, დაუვიწყარო ამხანაგო, ეს ცხოვრება წუთიერი იყო! ნორჩი, ახალ გაზრდა, სიცოცხლით სავსე, ყველასათვის საყვარელი. უდროოვოთ გამოაკლდი სწორ-ამხანაგებს. მშვენიერ გაზაფხულის დილას, როდესაც მთელი სამყარო გაზაფხულის ფერად ქათიბში მზისგან მოცინარობდა, როდესაც იწყობოდა მოუსვენარი მშფოთავი, ნერვიული ცხოვრება, შენ ბაგეზე ოდნავ გამოისახა უკანასკნელი „მშვიდობით“ და შენი სპეტაკი არსება საუკუნო განსვენებას მიეცა. რად დაგვამბლე? რად გასწყვიტე ჩვენთან ცხოვრების მძიმე უღელი, რომელშიაც ჩაქსოვილია ბევრ სიმწარესთან და მწუხარებასთან ერთად აგრეთვე ნათელი დღეები? შენ ვეღარ გაიზიარებ ჩვენ სევდას და ვერც ჩვენი სიხარულით გაიხარებ. ცივ სამარეში ვეღარ გაიგებს ჩვენი სამშობლოს ავკარგს და შენი მოძმეების ბედ-იღბალს. შენ მიგიბარებს თვის გულ-მკერდში მშობლიური მიწა-წყალის, სამშობლოს სიო სამარადისოდ ინავარდებს შენ საფლავზე და ჩვენს სალამს მოგიძღვნის

ტფილ. ქალთა 1 გიმნაზიის ამხანაგები.

ლუი ბლანი კომუნის ისტორიაში.

საფრანგეთის კომუნას მეტად მდიდარი ისტორია აქვს, ეს ისტორია მსოფლიო ერის განძია და მასთან დიდათ საყურადღებოც და ძვირფასიც კომუნისა და კომუნელთა ისტორიის შესახებ; ევროპიულ ენებზედ, ძრიელ ბევრი წერილები და წიგნებია დაწერილი და დაბეჭდილები, ბევრი მასში ეკუთვნის სახელოვან მსწავლულთ პირებს და ერთი ისეთი პირთაგანი გახლავსთ ლუი ბლანი, რომლის კომუნალურ მიმართულების შესახებ ეხლა უნდა ვისაუბროთ ჩვენც.

ლუი ბლანი გახლავსთ საფრანგეთის ერის ისტორიკოსი, დამწერი „საფრანგეთის დიდის რევოლიუციის ისტორიისა“ თორმეტ ტომათ, მასთანვე ეკუთვნის შესანიშნავი გამოკვლევა სასჯელთა ზედა „სიკვდილით დასჯის გაუქმება“ და „პაუპერიზმის მოსპობა ხალხთა შორის“ ამ სამაგალითო კაცის წიგნებიდან ჩვენ მარტოთ ეს სამი წიგნის მოხსენება ვიკმაროთ, თუმცა ლუი ბლანს სხვა ძვირფასი შინაარსის წიგნებიც ბევრი აქვს ნაწერ ნაბეჭდი.

ლუი ბლანის შრომებში, დიდათ საყურადღებოა საფრანგეთის რევოლიუციის ისტორია; ამ საგნის შესახებ ეს ისტორია პირველი განძია და პირველი ღირსების. ამ ისტორიის ასეთ ღირსებას პირუთვნელათ აღიარებენ თვით საფრანგეთის ერის პირველ ხარისხოვანი მწერლებიც. საფრანგეთის რევოლიუციის და კომუნის შესახებ, ევროპიულ ენებზედ ძრიელ ბევრს აქვს ნაწერები, ყველა ამათში ლუი ბლანის ნაწერები გახლავსთ პირველი ღირსების და ამის შედარებით ცალი და ტოლი არ ჰყავს.

სწორედ ლუი ბლანის ახალი ღირსება გვაბედინებს ჩვენ, რომ აქ ამ პირის კომუნისტური იდეის შესახებ ვილაპარაკოთ. უნდა მოვიხსენოთ, რომ ლუი-ბლანს მთელს ევროპაში იცნობენ, როგორც ერთს უმაღლესათ განვითარებულს პირს კარგათ მომზადებულს მეცნიერს, როგორც საფრანგეთის რევოლიუციის ისტორიის აკინძავში ისევე კომუნართა მოქმედების იდეაში.

ვიტყვით იმასაც, რომ ამ საყურადღებო კაცს ჩვენ ქართველებიც ვიცნობთ ჩვენის შეძლებისა და გვარად და მისი სახელი ჩვენს მწერლობაშიც ხსენებულა ხოლმე. ლუიბლანის სახელს ქართულს მწერლობაში ხშირად მოიხსენებდენ გაზ. „დროებაში“ 1870 და 1871 წ. და შემდეგაც. ლუი ბლანი ორჯერ იყო აწერილი გაზ. „დროებაში“ დავ. მიქელაძისაგან.

1873 წ. ჟურნალ „კრებულში“ დაიბეჭდა ერთი წერილი ნიკ. ნიკოლაძისა სახელდობრ:—„საუბარი ლუიბლანთან“ 1900 წ. მე გამოვეცი ლუიბლანის ცხოვრების და მოღვაწეობის პირობები და მისი მოღვაწეობის იდეია. საჭიროდ მიგვაჩნია, რომ აქ ერთი გარემოებაც ავნუსხოთ, რაც კიდევ და კიდევ ქართველის კაცის კალამს შეეხება, ეს გახლავს შემდეგი გარემოება, რაც არ არის ჩვენთვის უმნიშვნელო.

ჩვენმა მხცოვანმა მამულიშვილმა და გონიერ პუბლიცისტმა ნიკ. ნიკოლაძემ, 1882 წ. რუსულს ენაზედ დასწერა ერთი წერილი, სახელდობრ: „ლუი ბლანი და გამბეტა“, რომელი წერილიც იმავ წელს დაბეჭდილ იქმნა იმ დროის რუსულს საუკეთესო ჟურნალს „ოტეჩესტვენი ზაპისკაში“.

წერილში აღნუსხულია ლუი ბლანის და გამბეტას გარდაცვალების ცნობა, რადგანაც ეს ორი გამოჩენილი მოღვაწენი ერთს დროს დაიხოცნენ, მათი მოღვაწეობა შედარებულია ერთი მეორესთან და მასთან ქებულია უმეტესათ ლუი ბლანის შრომა და მოღვაწეობა ვიდრე გამბეტასი.

ამ წერილს იმ დროის რუსეთის მონარქიამ ცუდის თვალით შეხედა და დამწერს დასდეს ბრალი მასზედ, რომ იგი ლუი ბლანს მიტომ აქებს და ადიდებს, რადგანაც იგი კომუნისტი გახლავსთო. ამიტომ მთავრობამ, ჟურნალ „ოტეჩესტვენი ზაპისკას“ მეორეთ შენიშვნა მისცეს და მესამე შენიშვნის მიცემის, ანუ ერთი თვის შემდეგ ეს ჟურნალი რუსის მთავრობამ სულაც დახურა და მოსპო სამუდამოთ.

რადგანაც ჩვენი საგანი გახლავსთ კომუნის ისტორიის გარშემო ლაპარაკი და ამ კომუნის პარტიის თავს მჯდომარის, ლუი ბლანის მოღვაწეობის შესახებ საუბარი, ამიტომ ვალათ ვთვლით, ჯერეთ ეს ლუი ბლანი გავიცნოთ თუნდ მოკლეთ და მერე ავნუსხავთ მისსი მოღვაწეობის იდეია კომუნისტთა პარტიის ისტორიაში.

ლუი ბლანი დაიბადა 1811 წ. ამის პაპა დასჯილ იქმნა პირველ რევოლიუციის დროს სიკვდილით, მამა ამისი უნდა დაესაჯათ მეორე რევოლიუციის დროს, მაგრამ თავს უშველა ამან მითი რომ სასჯელის მიყენების ღამეს საპატიმროდამ გაიქცა.

ლუი ბლანმა მიიღო საფრანგეთში შესაფერი უმაღლესი განვითარება და ეს უკვე ჯერეთ ახალგაზრდა იყო, რომ დაიწყო მოქმედება სამწერლო ასპარეზზედ, მწერლობიდამ ეს ერთობ მალე გადავიდა პოლიტიკურს ასპარეზზედ და დაიწყო მოქმედება პოლიტიკურათაც.

პოლიტიკურის ბრძოლით ეს პირი ძლიერ მალე დაწინაურდა, იგი იდეით გახდა მეტათ ცხარე სოციალისტი და ბოლოს სოციალისტობიდამ გადავიდა კომუნიზმზედაც და ამის მოაზრებით იგი ისე დაწინაურდა, რომ ერთ დროს პარიზის კომუნართა შორის გახდა სახელოვანი მოღვაწე და ბოლოს კომუნის თავმჯდომარეც.

შუა ხანში შესვლის დროს, ლუი ბლანი გახდა სახელოვანი კაცი მთელს ევროპაში, ამის სახელი ერთ დროის დიდათ ჰქუხდა გერმანიაშიაც. საფრანგეთში ხომ ამას იცნობდენ კარგათ და ერთ დროს, ლუქსენბურგის მუშათა ქარხნები წესდების გამო, პრუდონთან ცხარე პოლემიკაც მოუხდა. პრუდონსა და ლუი ბლანს შორის ყოველთვის არსებობდა პარტიული განხეთქილება.

ნაპალეონის გამეფების შემდეგ ლუი ბლანმა გამოსცადა დიდი დევნა და ვაება, ბევრი ბრძოლაც მონარქიის წინაშე, მოხდა ისიც, რომ უკანასკნელად იგი მოესწრო ნაპალეონის დამარცხებას და ამ დამარცხებულის საფრანგეთიდამ გაძევებას, საფრანგეთში იმპერიის მაგიერ რესპუბლიკური მთავრობის დაარსებას.

ასე და ამ გვარათ 1870 წლებში ლიუ ბლანი იყო უწარჩინებული პოლიტიკური მოღვაწე თავის სამშობლო საფრანგეთისა, უმთავრესათ კი ეს იყო ცხარე მოღვაწე და მაძიებელი საფრანგეთის ერის თავისუფალი ცხოვრების მოღვაწების და ფრანგების ამაღლების და დაწინაურების.

ამიტომაც ლიუ ბლანი ყველა პარტიებში ერეოდა და მონაწილეობას იღებდა, გარდა კლერიკალებისა და მონარქისტებისა, ყველა პარტიათა წრეებში იმას გაჰყვანდა და თავის მიმართულება და იდეია და ყველა პარტიაში ავრცელებდა საფრანგეთის პარტიაცა მთლიანობას და დაწინაურებას მოქალაქურის მიმართულებით, რასაც ფრანგების თვალში ზოგ ალაგას აქვნდა დიდი გავლენა და ზოგს ალაგას კი არა.

ლიუბლანი სახელოვანი მოღვაწეა ბევრნაირის მუშაკობით და მასთანავე შესანიშნავი პირია სიტყვების წარმოთქმაში, ცოტა ორატორული ნიჭიც შესწევდა. ამისი სიტყვები ყველგან დიდს გავლენას ახდენდა და ნამეტურ მუშა ხალხზედ.

ამიტომ ლუი ბლანს საფრანგეთის იმპერიის ტახტის დამხობის დროს, ანუ ნაპალეონ იმპერატორის გაძევების ჟამს, ლუი ბლინს ყველა კუთხის ხალხში უხდება სიარული და სიტყვების წარმოთქმა, ამის სიტყვები ყველგან ყოველთვის დიდს გავლენას ახდენდა, ვინაიდან ლიუბლინმა იცოდა სიტყვების წარმოთქმის ოსტატობა და მისი კილოს შერჩევაც.

ლუი ბლანი აღრიდანვე კომნარ
პარტიაზე [illegible], აქ
კომუნისტებში მას დიდი ზმა და გ
ლენ [illegible] 1870 წლის ს
რანგეთის მონარქიი მთავრობის
რომები და იმპერიის დამხობის პირ
შებიკი სხვა საჭიროებასაც უკარნა
ბდა ლუი ბლანს.

ეს გარემოება და შეგნება იყო ლ
ბლანის ნაციონალურათ აღორძინება
გაძლიერება საფრანგეთის ერისა,
ლა პარტიის წევრების ერთად შეერთ
ბა და მის შეერთებულის ძალით ნაპ
ლეონ იმპერატორის ტახტის დამხო
და საფრანგეთის ერის თავიდამ ჯერ
საზოგადო მტრის მოშორება და მე
სავე და სხვა პარტიობა, დრო და
რემოება ისეთია, ეხლა ფრანგებ
თვის პარტიობა არ არის კარგი საქ
არამედ აქ ნაციონალურად გაძლიერ
არის საჭიროვო.

ასეთ ფიქრებს მიეცა გონიერი
ტორიკოსი და იგი ასეთის შინაარ
სიტყვებსაც ამბობდა ყველგან საფრ
გეთში, ამ დრომდის მას უმზერდ
როგორც სოციალისტს კომუნისტს,
დრიოდამ კი მას დაუწყეს ყურება
თვალით და მას სთვლიდნენ, როგო
მეცნიერს და საფრანგეთის მომზა
ბულს მწერალს მოქალაქეს. ზ. გ

უღრმეს მწუხარებაში მყოფნი გაუბედურებული მშობლები: მამა, მდ. დიმიტრი ცომაია მეუღლით სალომე ცომაიასი და შვილებით: მიხაკო, პავლე, სოფრომ, გულნარა, თინია და ნუცულიასი, ღრმა მწუხარებით აუწყებენ, ნათესავთ და ნაცნობთ, რომ სოფელ ზოდის წმ. გიორგის ეკლესიაში ხუთშაბათს მაისს 5, (ძველით 22 აპრილს) გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი, პირველის და მეორესი უსაყვარელესი შვილის და დანარჩენის უსაყვარელესი ძმის, მარტის 18-ს ბათომში თათრებთან ბრძოლაში გმირულად დაღუპულის ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიკურ ფაკულტეტის სტუდენტის

კირილე (გადუში) დიმიტრის-ძე ცომაიასი

925

გულდამწვარნი მშობლები ნინა და სერგო; ძმა ალექსანდრე და რძალი სოფიო ძიძაძეები, და მარიამი, და სიძე ალექსანდრე ძამიაშვილები, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ აღდგომის ორშაბათს დანიშნულია ქ. სიღნაღში უდროოვოთ გარდაცვალების საყვარელ და დაუვიწყარი

კოლა ძიძაძეს

წირვა და პანაშვიდი 927

თავზარდაცემული მშობლები ტერეზია დავითის-ასული და დიმიტრი გიორგის-ძე შვილებით: ნინა, ელენე, ირაკლი, ქეთო, ალექსი და მეუღლე ეფემია ივანეს-ასული აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ სამშაბათს მაისის 3-ს გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროოვოდ დაკარგულის ძვირფას

გიორგი დიმიტრის-ძე გათიაშვილის

წირვა და პანაშვიდი იქნება გადახდილი ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, დილის 10 საათზე. 928

რედაქტორი თედო ღლონტი.
გამოცემა ცრ. მთავარი კომიტეტისა.

დავკარგე პირადობის მოწმობა და შესავალი ბილეთი მოცემული საერთო განათლების კურსებიდან მე-VI კლასის მოწაფე ვასილ ლაბაძის სახელობაზე რომელნიც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 926

ყოფ. გიმნაზ. დამაარსებელი და მათემატიკის მასწავლებელი ი. მა
ამზადებს
საშუალო სასწავლებლ
ყოველ კლასებში შესასვლელად კლასის მოწმობაზე პლეხანოვის ალექსის ქუჩ. კუთხე 25—5, 9—1 4—6 ს.

სოფრ. გლახაშვილის
თხზულებანი ტ. II
მოთავსებულია რომანი „უცნაური“, მოთხ. და პიესები, იყიდება წერა-კითხვის საზ. მაღაზიაში.
იქვე: მისი I ტომი, ნოტები ვაჟას გარდაცვლაზე არაყიშვილის და ბუხჰალტერია. 92

მიიღება ხელის მოწერა
„სოციალისტ-ფედერალისტზე“
სახლში მიტანით გაზეთი ღირს თვეში 3000 მან.

6—2000
სტამბა „სახალხო საქმე“ კალოუბნის ქუჩა № 14